

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს  
ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა  
და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს  
ბატონ თამაზ ხიდელშელს

შენიშვნები საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ  
მომზადებული კანონპროექტზე “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონში  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტში განსახილველად შევიდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”. ცვლილებები გულისხმობს ახალი სახეობის ლიცენზიის შემოღებას – “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ფლორის სახეობებით სარგებლობის ლიცენზია”.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონში მსგავსი დამატებებისა და ცვლილებების შეტანას ასოციაცია მწვანე ალტერნატივა ლობირებდა დღიდან კანონპროექტის გამოქვეყნებისა. ეს ცვლილებაც მნიშვნელოვანწილად ამ ლობირების შედეგია. სამწუხაროდ, პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის თანმხლებ განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ მის შემუშავებაში არასახელმწიფო ორგანიზაციებს, ექსპერტებს, და სხვ. მონაწილეობა არ მიუღიათ და შესაბამისად, მათი მხრიდან კანონპროექტის შეფასება არ მომხდარა. მართლაც, კონსულტაციები არ გამართულა, რამაც განაპირობა გარკვეული ხარვეზები ამ მცირე მოცულობის კანონპროექტის ტექსტში. საქმე ისაა, რომ განმარტებით ბარათში მოცემული კანონის მიღების მიზნის შესრულება **შეუძლებელი გახდება**, თუ იგი ამ რედაქციით იქნება მიღებული, და პირიქით, კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას შემოიტანს ამ სფეროში. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ შესაძლებლობა მოგვეცემოდა გვესაუბრა ამის შესახებ საკომიტეტო მოსმენებზე. სამწუხაროდ, საკომიტეტო მოსმენა უკვე ჩატარებულია და ჩვენ მასში მონაწილეობის მიღება ვერ მოვახერხეთ. გიგზავნით წერილობით შენიშვნებს და იმედი გვაქვს, რომ მათ ყურადღებით გაეცნობიან კანონის საბოლოოდ მიღებამდე.

ხაზგასმით აღვიშნავთ, რომ ამ ცვლილებებისა და დამატებების მიღება აუცილებელია, რადგან “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონმა რეგულირების გარეშე დატოვა არამერქნული რესურსების მოპოვება. ამგვარი რესურსსარგებლობა საკმაოდ გავრცელებული ბიზნესია ჩვენს ქვეყანაში (მაგ. სოჭის გირჩები, თეთრყვავილას ბოლქვები) და საქმიანობის არამდგრადი მეთოდებით წარმართვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას.

## შენიშვნები და წინადადებები:

კანონპროექტის 1 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ფლორის სახეობებით სარგებლობის ლიცენზია. ლიცენზირებას დაქვემდებარებული რესურსების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა”

აღნიშნული რედაქციით კანონის მიღების შემთხვევაში კვლავ შეუძლებელი იქნება ისეთ მნიშვნელოვან რესურსზე ლიცენზიის გაცემა, როგორცაა სოჭის თესლი, რომელიც არ მიეკუთვნება გადაშენების პირას მყოფ სახეობას, მაგრამ დაურეგულირებლობის გამო გირჩების უკონტროლო მოპოვებამ საშიში მასშტაბები მიიღო. ასევე, შეუძლებელია სხვა კომერციულად საინტერესო მცენარეულ არამერქულ რესურსებზე ლიცენზიების გაცემა, მათ შორის სამკურნალო მცენარეებზე. უახლოეს ხანში საჭირო გახდება კიდევ ერთი ლიცენზიის სახეობის შემოღება, რაც ხელოვნურად გაზრდის მათ რაოდენობას და რაც არ შეესაბამება ხელისუფლების დეკლარირებულ კურსს.

გარდა ამისა, აღნიშნული რედაქციით შესაძლებელი გახდება “წითელი ნუსხის” მერქიანი სახეობების მოჭრა, რაც შესაძლოა ნამდვილად არ იყოს კანონის ავტორთა უნებლიე რედაქციული შეცდომა.

აქედან გამომდინარე, გთავაზობთ, კანონპროექტის 1 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

9. არამერქული მცენარეული და სხვა რესურსებით სარგებლობის სპეციალური ლიცენზია. ლიცენზირებას დაქვემდებარებული რესურსების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;

კანონის ტერმინების განმარტებას დაემატოს: “არამერქული მცენარეული და სხვა რესურსები” – ტყის ფონდის ან მის ფარგლებს გარეთ არსებული მერქიანი მცენარეების პროდუქტები, სოკოები, ხის მეორეხარისხოვანი მასალები და სხვა არამერქული მცენარეული წარმოშობის რესურსი (ნაყოფი, თესლი, გირჩა, ბოლქვი, სამკურნალო ნედლეული, ბალახეული).

ჩვენს მიერ შემოთავაზებული რედაქცია საშუალებას მისცემს სახელმწიფოს გასცეს ლიცენზიები როგორც გადაშენების პირას მყოფი ფლორისა და ფაუნის ველური სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) მეორე დანართში შემავალ სახეობებზე, ისე სხვა კომერციულად საინტერესო არამერქულ განახლებად რესურსზე და, ამავდროულად, ხელოვნურად არ გაიზრდება ლიცენზიების სახეობების რაოდენობა. ასევე, შეუძლებელი იქნება ნებსით თუ უნებლიედ ლიცენზიის გავრცელება საქართველოს “წითელი ნუსხის” სახეობებზე.

კანონპროექტის 1 მუხლის მე-3 პუნქტი აზუსტებს საქართველოს კანონის “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” 24-ე მუხლის მე-11 პუნქტის დეფინიციებს და უფრო აახლოებს კონვენციის ტექსტთან, მაგრამ აქ გამორჩენილია (ან განზრახ არ წერია) სიტყვა “ფაუნის”. ასეთი რედაქციის გამო კანონპროექტი:

§ წინააღმდეგობაში მოდის კონვენციასთან, რომელიც გულისხმობს, რომ ხელმომწერი მხარე ვალდებულია ანალოგიური ნებართვები გასცეს კონვენციის დანართებში შეტანილ ფაუნის სახეობებზეც;

§ შეიცავს მეცნიერულ უზუსტობებს, ვინაიდან ტერმინი - “სახეობების დერივატები” გამოიყენება **ფაუნის** წარმომადგენლებთან მიმართებაში. ასევე, კონვენციის ტერმინოლოგიით, ტერმინი “სახეობის ზღვიდან ინტროდუქცია” ნიშნავს ქვეყნის ტერიტორიული წყლებისა და თავისუფალი ეკონომიკური ზონის გარეთ, ანუ ნეიტრალურ წყლებში მოპოვებული ზღვის **ფაუნის** წარმომადგენლების ქვეყნის ტერიტორიაზე ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის უფლების მინიჭებას;

§ შეუძლებელი იქნება ქვეყნის ტერიტორიაზე კანონიერად მოპოვებული კონვენციის დანართში შემავალი სახეობების დერივატების ქვეყნიდან გატანა (მაგ. სანადირო ტროფეების), ზოოპარკისათვის ცოცხალი ცხოველების, ასევე ხიზილალის და სხვა ცხოველური პროდუქტების საზღვარზე გადაადგილება, და ა.შ. ყოველივე აღნიშნული ხელოვნურ ბარიერს შეუქმნის კანონიერ მეწარმეებს, ტურიზმის განვითარებას, სამეცნიერო კვლევების მიზნით ცხოველთა დერივატების გადატანას და სხვა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული შენიშვნები, რომელიც ჩვენი ღრმა რწმენით სასიკეთოდ წაადგება ჩვენი ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას. ასევე, ეს იქნება საზოგადოებისა და ხელისუფლების ნაყოფიერი თანამშრომლობის მაგალითი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის,

პატივისცემით,

ირაკლი მაჭარაშვილი  
ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი